

## ძირითადი საკითხები

იქპოვა არის ნაზი გულის მქონე ღმერთი,  
და რადგან იერემიასაც ჰქონდა ნაზი გული,  
იერემია აბსოლუტურად ერთი იყო ღმერთთან;  
ამიტომ, ღმერთს შეეძლო, გამოეყენებინა წინასწარმეტყველი იერემია,  
გამარჯვებული, რათა მას გამოეხატა ღმერთი, ელაპარაკა ღმერთის მაგივრად,  
და წარმოედგინა ღმერთი, თავის გოდებაშიც კი.

იერემია წინასწარმეტყველის წიგნი, სავსეა საუბრით ისრაელის ცოდვის  
და ღმერთის რისხვის, წვრთნისა და სასჯელის, შესახებ,  
ის გვიხსნის, რომ ღმერთს თავის სახლმშენებლობაში განზრახული აქვს  
იყოს სათავე, დასაწყისი, ცოცხალი წყლებისა,  
რათა დაარიგოს თავისი თავი თავის ამორჩეულ ადამიანებში  
მათი დაკმაყოფილებისათვის და ტკობისათვის  
იმ მიზნით, რომ წარმოქმნას ეკლესია,  
ღმერთის წყვილი, როგორც ღმერთის გადიდება,  
მისი გაფართოვება, ეკლესია, რომელიც იქნება ღმერთის სისავსე  
მისი გამოხატულებისათვის.

ღმერთი არის მარადიული და უცვლელი,  
ის არ ექვემდებარება არავითარ ცვლილებას,  
არავითარ პირობებში და ვითარებებში,  
და ღმერთის ტახტი – არის მისი მარადიული  
და უცვლელი მმართველობის ტახტი;  
ღმერთის მარადიულ არსებობასა და ტახტზე საუბრისას,  
იერემია გამოვიდა თავისი ადამიანური გრძნობების სფეროდან,  
შეეხო ღმერთის პიროვნებას და ღმერთის ტახტს  
და შევიდა ღმერთის ღვთაებრიობაში.

ღმერთმა როგორც ჩვენმა მექოთნემ თავისი უზენაესობის თანახმად შეგვქმნა ჩვენ,  
რათა ჩვენ ვიყოთ მისი ჭურჭლები, მისი სათავსები,  
რომლებიც შეიცავენ თვითონ მას, თავისივე წინასწარგანსაზღვრის თანახმად;  
ღმერთის ჩანაფიქრი ადამიანის შექმნისას არის ის,  
რომ გახადოს ადამიანი თავისი ჭურჭელი, თავისი თიხის სათავსი,  
იმ მიზნით, რომ ის შეიცავდეს ქრისტეს, როგორც სიცოცხლეს და ივსებოდეს მისით  
როგორც სიცოცხლით ქრისტეს სხეულის, როგორც ღმერთის დიადი ერთობლივი  
ჭურჭლის, რომელიც განკუთვნილია ღმერთის გამოხატულების, ასაშენებლად.

როგორც მწყემსი ღმერთის გულის თანახმად, ქრისტე,  
დიადი მწყემსი ცხვრების, აგრძელებს თავისი მწყემსობის განხორციელებას,  
იმის მეშვეობით, რომ ჩართო მოციქულთა მსახურება თავის ზეციურ მსახურებაში,  
რომ მწყემსოს ღმერთის სამწყსო;  
უფლის აღდგენაში დღეს, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მწყემსობა, რომელიც  
აშენებს ქრისტეს სხეულს, – არის ურთიერთმწყემსობა,

და ჩვენ უნდა ვმწყემსოთ ერთმანეთი ღმერთის თანახმად, ვიზრუნოთ  
ყოველსმომცველი, ნაზი ზრუნვით სამწყსოზე.

იმისათვის, რომ ვიყოთ ერთი ღმერთთან, ჩვენ გვჭირდება ქრისტე  
როგორც დაგითის ამონაყარი ჩვენი გამოსყიდვისა და გამართლებისათვის;  
ამას მოჰყავს სამერთიანი ღმერთი ჩვენში, რათა ის გავხდეს ჩვენი სიცოცხლე,  
ჩვენი შინაგანი სიცოცხლის კანონი, ჩვენი უნარი  
და ყველაფერი ჩვენთვის, რომ დაარიგოს თავისი თავი ჩვენს არსებაში  
თავისი სახლმშენებლობის განსახორციელებლად;  
ეს არის ახალი აღთქმა, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ ღმერთი,  
ვიცხოვროთ ღმერთი და გავხდეთ ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით,  
მაგრამ არა ღვთაებაში, რათა ჩვენ გავხდეთ მისი ერთობლივი გამოხატულება  
ახალი იერუსალიმის სახით.

შეტყობინება პირველი  
იერემია, ნაზი გულის მქონე წინასწარმეტყველი  
ნაზი გულის მქონე ღმერთისა

ადგილები წერილიდან: იერ. 1:1, 4-8, 10, 18-19; 4:19; 9:1, 10; 13:17

- I. იერემია დაბადებით იყო მღვდელი, მაგრამ ის იყო მოწოდებული ღმერთის მიერ, რომ გამხდარიყო წინასწარმეტყველი, და ამასთან ერთად წინასწარმეტყველი არა მარტო ისრაელის ხალხისათვის, არამედ ყველა ერისათვის; აქედან გამომდინარე, ის იყო მღვდელი-წინასწარმეტყველი – იერ. 1:1, 4-8.
- II. იეჰოვამ დანიშნა იერემია ერებზე და სამეფოებზე, რათა აღმოეფხვრა, გაენადგურებინა და დაემხო და აეშენებინა და დაერგო – მუხ. 10:
- ა. აღმოეფხვრის, დანგრევისა და განადგურების მეშვეობით იეჰოვა ამხობს, ხოლო აშენებისა და დარგვის მეშვეობით, იეჰოვა ამაღლებს.
  - ბ. ეს შეესაბამება სახელი იერემიას ორ მნიშვნელობას – „იეჰოვა ამაღლებს“ და „იეჰოვა ამხობს“.
- III. იეჰოვამ გახადა იერემია გამაგრებული ქალაქი, რკინის სვეტი და ბრინჯაოს კედლები მთელი მიწის, იუდას მეფეების, მისი თავადების, მისი მღვდლებისა და ამ მიწის ხალხის წინააღმდეგ; ისინი იბრძოლებენ მის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ დაამარცხებენ მას – მუხ. 18-19:
- ა. დედამიწაზე მუდმივად მძვინვარებს ბრძოლა ღმერთსა და მათ შორის, ვინც ეწინააღმდეგება მას და იბრძვის მის წინააღმდეგ – ეფეს. 6:12.
  - ბ. ღმერთი იბრძვის არა თვითონ პირდაპირ, არამედ მის მიერ გამოგზავნილი თავისი მსახურების მეშვეობით – 1 ტიმ. 1:18; 6:12; 2 ტიმ. 4:7.
  - გ. ღმერთმა გამოგზავნა თავისი ჯარი – ახალგაზრდა კაცი სახელად იერემია – მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, ვინც ეწინააღმდეგებოდა მას:
    - 1. იერემია იმდენად იყო აღჭურვილი ღმერთით, რომ გახდა გამაგრებული ქალაქი, და რკინის სვეტი, და ბრინჯაოს კედლები – იერ. 1:18.
    - 2. იერემიას, იეჰოვას ჯარის, რომელიც შედგებოდა ერთი ადამიანისაგან, წინააღმდეგ მებრძოლები – ფაქტიურად იბრძოდნენ იეჰოვას წინააღმდეგ – მუხ. 19ა.
    - 3. ვერავინ ვერ ამარცხებდა მას, რადგან იეჰოვა იყო მასთან – მუხ. 19ბ.
- IV. იერემია იყო გამარჯვებული, რომელიც ლაპარაკობდა ღმერთის მაგივრად – მუხ. 9-10; 2:1-2:
- ა. წინასახეების საუკუნეში, გამარჯვებულები იყვნენ წინასწარმეტყველები; ყველა ნამდვილი წინასწარმეტყველი იყო გამარჯვებული.
  - ბ. როდესაც ღმერთის ხალხის დიდი ნაწილი მივიდა გავერანების მდგომარეობამდე, წარმოიშვა იმის აუცილებლობა, რომ ზოგიერთები წამომართულიყვნენ და ყოფილიყვნენ ღმერთის გამარჯვებულები იმ მიზნით რომ შეენარჩუნებინათ მოწმობა, რომელიც დაადგინა ღმერთმა.
  - გ. წინასწარმეტყველები პირველ რიგში ზრუნავდნენ ღმერთის ლაპარაკზე და ამ ლაპარაკის საფუძველზე ისინი გარკვეულ წილად იყენებდნენ ღმერთის

ძალაუფლებას, როგორც ეს ნახვენებია მეფე დავითის და წინასწარმეტყველ ნათანის მაგალითზე – 2 მეფ. 7:1-17; 12:1-15.

- დ. გამარჯვებულები გამოცხადების მე-2 და მე-3 თავებში არიან წინასწარმეტყველების მიერ წარმოდგენილი წინასახეების ასრულება.
- ე. როგორც გამარჯვებული იერემია იყო „ანტიმოწმობა“:
  1. ისრაელის შვილები მივიდნენ გავერანების მდგომარეობამდე, ხოლო იერემიას მოუწოდა ღმერთმა, რათა ყოფილიყო „ანტიმოწმობა“ – იერ. 27:1-15.
  2. ღმერთის ხალხი ვერ აცნობიერებდა, რომ იმყოფებიან ღრმად ცოდვაში ღმერთის წინაშე და რომ ღმერთმა უკვე დაუდგინა, რომ მათ დასასჯელად იქნებოდა გამოყენებული ბაბილონი, ისე რომ ისინი წაყვანილნი იქნებოდნენ ტყვედ ბაბილონში – 15:12-14.
  3. ვინაიდან ისრაელი ჩავარდა ასეთ გაბრუებულ მდგომარეობაში, იერემია, გამარჯვებული იყო „ანტიმოწმობა“ – ის ლაპარაკობდა სიტყვას, მიცემულს მისთვის იეჰოვას მიერ, და გამოდიოდა ცრუ წინასწარმეტყველების წინააღმდეგ – 27:16–28:17.

**V. წინასწარმეტყველ იერემიას წიგნის განსაკუთრებულ ნიშანსა და პოზიციას წარმოქმნის ღმერთის ნაზი გული და ღმერთის სამართლიანობა – 9:10-11; 23:5-6; 33:16:**

- ა. ჩვენი ღმერთი არის რბილი გულის მქონე ღმერთი, სავსე მოწყალებით და თანაგრძნობით, მაგრამ ამასთან ერთად ის აბსოლუტურად სამართლიანია – 9:10-11; 23:6.
- ბ. იერემია წინასწარმეტყველის წიგნის თანახმად, ღმერთის სიყვარული არის მისი ნაზი ზრუნვის, თანაგრძნობის და სიმპატიის კომბინაცია; მაშინაც კი როდესაც ის წვრთნიდა ისრაელში თავის ამორჩეულ ხალხს, ის თანაუგრძნობდა მათ – გოდ. 3:22-23.
- გ. ნათქვამი იერემიას 9:10-11-სა და 17-19-ში გამოხატავს იეჰოვას გრძნობას ისრაელის ტანჯვებთან დაკავშირებით, რომელიც მათ განიცადეს ღმერთის მიერ მათი გამოსწორებისას:
  1. მიუხედავად იმისა, რომ იეჰოვა სჯიდა ისრაელს, ის მაინც თანაუგრძნობდა მათ.
  2. სიტყვები „ჩვენ“ და „ჩვენი“ მე-18 მუხლში მიუთითებს იმაზე, რომ იეჰოვა შეუერთდა თავის ტანჯულ ხალხს და ერთი იყო მათთან მათ ტანჯვებში.
  3. თვითონ იეჰოვა ტიროდა თავისი ხალხისადმი თანაგრძნობის გამო.

**VI. იერემია წინასწარმეტყველის წიგნი ასევე არის ავტობიოგრაფია, რომელშიც იერემია გვიყვება თავის მდგომარეობაზე, თავის პიროვნებაზე და თავის გრძნობებზე, გვიხსნის თავის ნაზ გულს:**

- ა. ღმერთი არის რბილი, მოყვარული, თანამგრძნობი და მართალი, ხოლო იერემია, მორცხვი ახალგაზრდა, წამოყენებული იყო ღმერთის მიერ, რათა ყოფილიყო მისი ბაგეები იმ მიზნით, რომ ელაპარაკა მის ნაცვლად და გამოეხატა ის – 3:6-11; 4:3-31; 32:26-27; 33:1-2.

- ბ. იეჰოვა არის ნაზი გულის მქონე ღმერთი, და რადგან იერემიასაც ჰქონდა ნაზი გული ის აბსოლუტურად ერთი იყო ღმერთთან, ამიტომ ღმერთს შეეძლო იერემია წინასწარმეტყველის გამოყენება, რათა მას გამოეხატა ღმერთი, ელაპარაკა ღმერთის ნაცვლად და წარმოედგინა ღმერთი – 2:1-3:5; 4:19; 9:1, 10.
- გ. იეჰოვა მოვიდა, რომ გამოესწორებინა თავისი თვალთმაქცი თაყვანისმცემლები, და იერემია გამოეხმაურა იეჰოვას მიერ გამოსწორებას; წინასწარმეტყველის გამოძახილი სავსე იყო სინაზით, თანაგრძნობითა და ტანჯვებში მოზიარეობით – 8:18-19, 21-22; 9:1-2; 10:19-25.
- დ. იერემია ტიროდა ღმერთის ნაცვლად; მისი გოდება გამოხატავდა ღმერთის გოდებას – 4:19; 9:1; 13:17:
  1. თავის გოდებაში იერემია წარმოადგენდა ღმერთს – 9:10.
  2. შეიძლება ითქვას, რომ ღმერთი გოდებდა იერემიას გოდებაში, რადგან თავის გოდებაში იერემია ერთი იყო ღმერთთან – 13:17.
- ე. ვინაიდან იერემია ხშირად გოდებდა და ქვითინებდა კიდევაც, მას უწოდებენ წინასწარმეტყველს, რომელიც გოდებდა – გოდ. 1:16; 2:11; 3:48:
  1. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი განიცდიდა ტანჯვებსა და ტკივილს თავისი ხალხის გამო, მას უნდა მოექებნა ადამიანი დედამიწაზე, რომელსაც ექნებოდა ისეთივე გრძნობები.
  2. როდესაც მისი სული გადმოვიდა ამ განსაკუთრებულ ადამიანზე, იერემიაზე, და ჩადო თავისი გრძნობები იერემიას სულში, მაშინ წინასწარმეტყველმა შეძლო, გამოეხატა ღმერთის მწუხარე გრძნობები.
  3. იერემია წინასწარმეტყველის წიგნის წაკითხვისას, ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ტიროდა, მისი გრძნობები იყო თავშეკავებული – 4:19; 9:1, 10; 13:17.
  4. იერემიას მწუხარე და მოტირალი გრძნობები იყო თავშეკავებული და შეზღუდული, და ღმერთს შეეძლო, რომ მისულიყო მასთან და გამოეყენებინა ის, რათა გამოეხატა მწუხარე გრძნობები, რომელიც იყო ღმერთის გულში.

**VII. იმისათვის, რომ ღმერთს შეეძლოს იყოს მთლიანად გამოხატული ჩვენგან, ჩვენ უნდა გვქონდეს სულიერი გრძნობები, ვიყოთ ნაზი გულისები ერთმანეთთან მიმართებით და შეგვეძლოს, ვემსახუროთ ღმერთს ცრემლებით – იაკ. 5:11; გამ. 34:6; ფსალ. 103:8:**

- ა. სულიერი ადამიანი სავსეა გრძნობებით; რაც უფრო სულიერები ვართ, უფრო მდიდარია ჩვენი გრძნობები – 1 კორ. 4:21; 2 კორ. 6:11; 7:3; 10:1; 12:15:
  1. ჩვენ გვჭირდება, რომ უფალმა იმუშავოს ჩვენზე მანამდე, სანამ, ჩვენი გრძნობები არ გახდება დახვეწილი და სათუთი.
  2. ყოველთვის, როდესაც ღმერთი მუშაობს ჩვენზე, გვწვრთნის ჩვენ და ღებულობს ზომებს ჩვენთან დაკავშირებით, ჩვენი გრძნობები ხდება უფრო დახვეწილი და უფრო მგრძობიარე; ეს არის სიღრმისეული გაკვეთილი ჩვენი გარეგანი კაცის დამსხვრევაში – 4:16.

- ბ. ეკლესიაში ჩვენ უნდა ვიყოთ ნაზი გულის მქონენი ერთმანეთის მიმართ – ეფეს. 4:32:
1. ჩვენ არ უნდა გავასამართლოთ და მსჯავრი არ უნდა დავდოთ ჩვენ გვერდით მყოფ მორწმუნეებს, არამედ უნდა ვიყოთ კეთილგანწყობილი მათ მიმართ, ნაზი გულის მქონენი, ვაპატიოთ მათ ისე როგორც დმერთმა ქრისტეში გვაპატია ჩვენ – ლუკა 6:37; ეფეს. 4:32.
  2. რაც უფრო მეტად განვიცდით ქრისტეს როგორც ჩვენს სასიცოცხლო შეწვევას, უფრო რბილი ხდება ჩვენი გული, და როდესაც ჩვენ ვხდებით ნაზი გულის მქონენი, ჩვენ შეგვიძლია, ვაპატიოთ სხვებს.
- ბ. მოციქული პავლე ემსახურებოდა უფალს ცრემლებით და შეაგონებდა წმიდანებს ცრემლებით – საქმე. 20:19, 31; ფილიპ. 3:18:
1. თუ ჩვენ არ შეგვიძლია ტირილი და ცრემლების დაღვრა, ჩვენ არა ვართ ძალიან სულიერები.
  2. როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ სულში, ვიყენებთ ჩვენს სამშინველს როგორც ორგანოს, ჩვენ შეგვიძლია ვემსახუროთ უფალს და შევაგონოთ წმიდანები ცრემლებით – საქმე. 20:19, 31.
- დ. „დიდი მწუხარებითა და გულის ტკივილით“ პავლემ მიწერა კორინთელებს „მრავალი ცრემლით“ – 2 კორ. 2:4:
1. პავლეს გამოხატულება იყო სათუთი და სავსე მსახურების სიცოცხლის თბილი ზრუნვით – 11:28; 12:15.
  2. კორინთელთა მიმართ მეორე წერილის მე-7 თავში პავლემ გადმოსცა ღმრმა, სათნო და თბილი ზრუნვა კორინთელებზე; მისი სიტყვები ძალიან ეხებოდათ კორინთელებს – მუხ. 2-3.
  3. ვინაიდან პავლე გამოხატავდა რაღაც სათუთსა და სავსეს თბილი ზრუნვით, მის მიერ გამოხატულს ჰქონდა ძალა და ზემოქმედების უნარი და ამ სიტყვებს შეეძლო ღრმად შეხებოდნენ მორწმუნეებს.
- ე. როდესაც ჩვენ გავდივართ ეკლესიურ ცხოვრებაში ბახას (გოდების) ველზე, ღმერთი გადააქცევს ამ ველს წყაროდ; ეს წყარო არის სული – ფსალ. 84:6; იოანე 4:14; 7:38-39:
1. რაც უფრო მეტად ვგოდებთ სიონისკენ მიმავალ გზებზე (ფსალ. 84:5), უფრო მეტად ვღებულობთ სულს, როდესაც ჩვენ ვგოდებთ, ჩვენ ვივსებით სულით და სული ხდება ჩვენი წყარო.
  2. ჩვენი თვალებიდან გადმოღვრილი ცრემლები არის ჩვენი საკუთარი, მაგრამ ეს ცრემლები გადაიქცევიან წყაროდ, რომელიც ხდება ადრეული წვიმა, სული როგორც კურთხევა – ზაქ. 10:1; გალ. 3:14; ეფეს. 1:3.